გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2020 წლის 22 ივლისი

ქ. გურჯაანი

„ქ. გურჯაანის ტერიტორიული ზონირების, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ფარგლებში სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 24-ე მუხლების საფუძველზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქ. გურჯაანის ტერიტორიული ზონირების, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ფარგლებში სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 თებერვლის №6 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, 13/02/2020, 010250050.35.166.016471) და დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 მუხლი:

,,მუხლი 6^1. დადგინდეს მიწის ნორმატიული ფასი 1 კვ.მ. ქალაქ გურჯაანისთვის:

1. ცენტრალური ზონა – 14,04 ლარი

2. შუალედური ზონა – 10,80 ლარი

3. პერიფერიული ზონა – 7,56 ლარი.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 13 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **გია შაოშვილი**
მოვალეობის შემსრულებელი